

## ამოქსიცილინი 15 % LA (Amoxicillin 15% LA)

### Amoxicillin trihydrate

**წამლის ფორმა:** საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

**შემადგენლობა:** ამოქსიცილინი (ტრიჰიდრატი), 150 მგ; შემავსებელი 1მლ-მდე



**გამოშვების ფორმა:** 10მლ, 50 მლ, 100 მლ, 250 მლ და 500 მლ მუქი ფერის მინის ფლაკონი, მოთავსებული მუყაოს კოლოფში.

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:** ანტიმიკრობული საშუალება, ანტიბიოტიკი

#### ფარმაკოლოგიური თვისებები

ამოქსიცილინი 15 % LA-ს შემადგენლობაში შემავალი ამოქსიცილინი ტრიჰიდრატი, წარმოადგენს პენიცილინის რიგის ნახევრად

სინთეზურ ანტიბიოტიკს, რომელიც ხასიათდება ფართო სპექტრის ბაქტერიციდული მოქმედებით, აქტიურია გარმდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ, როგორცაა: *Actinomyces* spp., *Bacillus anthracis*, *Clostridium* spp., *Corynebacterium* spp., *Erysipelothrix rhusiopathiae*, *Listeria monocytogenes*, *Staphylococcus aureus*, *Streptococcus* spp. *Actinobacillus* spp., *E. coli*, *Salmonella* spp., *Fucobacterium* spp., *Haemophilus* spp., *Moraxella* spp, *Pasteurella* spp., *Proteus mirabilis*, *Leptospira* spp.

ამოქსიცილინის მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს მიკროორგანიზმის ზრდის ფაზის დროს უჯრედის კედლის პეპტიდოგლიკანის სინთეზის დათრგუნვით, ტრანსპეპტიდაზის კონკურენტული ინჰიბირების გზით. ერთჯერადი ინექციის შემდეგ ამოქსიცილინი ტრიჰიდრატი კარგად შეიწოვება ინექციის ადგილიდან და მალევე ვრცელდება ორგანიზმში, სისხლში მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს შეყვანიდან 1-2 საათის შემდეგ და ინარჩუნებს თერაპიულ დონეს 48 საათის განმავლობაში. ამოქსიცილინი ორგანიზმიდან გამოიყოფა ძირითადად შარდთან ერთად.

#### გამოყენების ჩვენებები

ამოქსიცილინი 15% LA გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, ლორების, ძაღლების და კატების ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის, რესპირატორული (რინიტი, პნევმონია, ბრონქოპნევმონია), კუჭნაწლავის ტრაქტის (დიარეა, ენტერიტები, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი), შარდსასქესო სისტემის ორგანოების (ცისტიტი, ენდომეტრიტი, მეტრიტი, ვაგინიტი, ლეპტოსპიროზი), მასტიტების, კანის დაზიანების, რბილი ქსოვილის და ჩლიქის (ნეკრობაქტერიოზი, ართრიტი, აბსცესი) დაავადებების დროს, აგრეთვე ქირურგიული, პოსტოპერაციული ინფექციების პროფილაქტიკისათვის, გამოწვეული ამოქსიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით.

### **გამოყენების წესი და დოზები:**

გამოყენების წინ ფლაკონი კარგად შეანჯღრიეთ ჰომოგენური სუსპენზიის მიღებამდე. ამოქსიცილინი 15% LA-ს თერაპიული დოზა ყველა მითითებული ცხოველებისათვის ერთნაირია და შეადგენს 1მლ-ს 10კგ ც.წ-ზე (15მგ/1კგ ც.წ-ზე) კუნთში ან კანქვეშ, ერთჯერადად. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია პრეპარატის განმეორებით შეყვანა 48 საათის შემდეგ.

### **უკუჩვენებები:**

პენიცილინის რიგის ანტიბიოტიკების მიმართ ცხოველების მგრძობიარეობის ინდივიდუალური მომატება, თან სდევს ალერგიულ რეაქციებს. ალერგიული რეაქციების არსებობის შემთხვევაში პრეპარატის გამოყენება წყდება და ინიშნება ანტიჰისტამინური საშუალებები. დაუშვებელია ამოქსიცილინი 15% LA-ს შერევა ერთ შპრიცში სხვა სამკურნალო პრეპარატებთან და ერთდროულად ბაქტერიოსტატიკურ ქიმიოთერაპიულ საშუალებებთან ერთად გამოყენება.

**გვერდითი მოვლენები:** ამ ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებით გვერდითი მოვლენები და გართულებები, როგორც წესი, არ აღენიშნება.

**განსაკუთრებული მითითებები;** ცხოველის დაკვლა და საკვებად გამოყენება ნებადართულია ბოლო ინექციიდან 14 დღის შემდეგ. მითითებული ვადის გასვლამდე იძულებით დაკლული ცხოველის ხორცი, შეიძლება გამოყენებულ იქნას ბეწვიანი ნადირის გამოსაკვებად ან ხორცის ფქვილის წარმოებისათვის. რძის გამოყენება საკვები მიზნებისათვის აკრძალულია მკურნალობის დროს და პრეპარატის შეყვანიდან ბოლო 48 საათის განმავლობაში.

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, მზის სხივებისაგან დაცულ ადგილას 5-25 °C ტემპერატურაზე. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ინვესა, ესპანეთი